ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია

დასკვნა:**დ05. 37223492**
თარიღი:**15/12/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი, განიხილა სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საბიუჯეტო კოდექსის, მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. კომისიის მიერ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველად ვერსიაზე კომისიის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები, რეკომენდაციები და წინადადებები კორექტირებულ ვერსიაში გარკვეულწილად გათვალისწინებულია, კერძოდ კი:

- ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვე.პროგრამების განხორციელების აღწერილობითი ნაწილი პირველად ვარიანტთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გადამუშავებული და პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს.

- განსახორციელებელი პროექტების შუალედური და საბოლოო შედეგების განმსაზღვრელი სიდიდეები და მათი შეფასების ინდიკატორები აკმაყოფილებს ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას და ძირითად რაოდენობრივი მახასიათებლებით არის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში.

3. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებები სრულ შესაბამისობაშია მიმდინარე პერიოდისათვის და დასაგეგმი 2023 წლის განმავლობაში გადასაწყვეტი პრობლემების მოგვარების უთუოდ უზრუნველყოფის გარანტიებთან.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვერსიის საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცებისა და კომისიის მიერ მხარდაჭერის შესახებ.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი